პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 16 (1652) ○ კვირა, 5 თებერვალი, 1961 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ
სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

სურათზე: თბილისელი პიონერები ყვავილებს უძღვნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი საქართველოში

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად 3 თებერვალს თბილისს ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

სადგურ ხაშურიდან თბილისამდე ნ. ს. ხრუშჩოვს ახლდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. ი. ახუნდოვი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ი. ნ. ზარობიანი.

ვოგზლის ბაქანზე, ვოგზლის მოედანზე, ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე ათასობით თბილისელი გულითადად მიესალმებოდა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

საღამოს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაესწრო დ. თორაძის ბალეტს „მშვიდობისათვის“.

მაყურებელნი მქუხარე ტაშით მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვს, მიართვეს ყვავილები.

* * *

4 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც თბილისს ჩამოვიდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, იმოგზაურა აღმოსავლეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რაიონებში.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მჟავანაძის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. დ. ჯავახიშვილისა და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა თანხლებით ესტუმრა მუხროვანის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობას. ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა მეცხოველეობის ფერმა, ესაუბრა საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებს, მექანიზატორებს, სპეციალისტებს. იგი დაინტერესდა ძროხების წველადობით, მეურნეობის საკვები ბაზით, მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციით.

შემდეგი მეურნეობა, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია, იყო საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობა „საქართველო“. ამ მრავალდარგოვან მეურნეობაში, რომელსაც 16 ათას ჰექტარზე მეტი მიწა უკავია, წარმატებით ვითარდება მევენახეობა, მეცხოველეობა, მოჰყავთ მარცვლოვანი კულტურები, თესავენ ბევრ სიმინდს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ურჩია მექანიზატორებს ფართოდ გამოიყენონ სიმინდის თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება დაინერგოს ნათესების დამუშავების კომპლექსური მექანიზაცია.

საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების საარსებო საკითხებზე დიდი საუბარი გაიმართა გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთში. აქ ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, მესიმინდეებს, მეცხოველეებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, კახეთის მთელი რიგი რაიონების პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს. საუბრის მთავარი თემა იყო საკითხი საკვები ბაზის შემდგომი განმტკიცების გზების შესახებ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მხარი დაუჭირა იმ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, სადაც მოჰყავთ საკვების მეორე მოსავალი სიმინდის ნაწვერალზე თესვის გზით. მან ურჩია გამოძებნონ სიმინდის მოვლა-მოყვანის ყველაზე რაციონალური მეთოდები, ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საჭიროა სწორად გადაიჭრას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხები.

ნ. ს. ხრუშჩოვს ყველგან გულითადად შეხვდნენ.

საღამოს ნ. ს. ხრუშჩოვი თბილისში დაბრუნდა. (საქდესი).

ბრძოლა ფინიშზე

დაიწყო სსრ კავშირის 28-ე საჩემპიონატო ჩემპიონატის ფინიში. XIV ტურში შესანიშნავად ითამაშა გელერმა სმისლოვთან. ბოლოს ეს უფროსი ოფიციალური ჩემპიონი უძლური აღმოჩნდა ოდესელი გროსმაისტერის იერიშის წინაშე და დამარცხდა.

ამ ტურში სხვა ლიდერებმაც ძლიერად ითამაშეს. პეტროსიანმა მოუგო ხასინს, სპასკიმ საიმედოდ გადადო პარტია სიმაგინთან და მხოლოდ პოლუგაევსკი იძულებული იყო ყაიმს შერიგებოდა ტარასოვთან. ტაიმანოვმა მოუგო თავის მწვრთნელს ბორისენკოს.

XV ტურში გაგრძელდა ლიდერთა ჭიდილი. მაშინ, როცა პეტროსიანი და სპასკი ყაიმით დაკმაყოფილდნენ, გელერი და პოლუგაევსკი წაგების პირას იდგნენ. ჩერეპკოვი ისეთი შეუპოვრობით უტევდა გელერს, რომ მისი გამარჯვება ეჩვეს არ იწვევდა. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ცაიტნოტში ჩერეპკოვმა სუსტად ითამაშა და ბოლო გადადებულ პარტიაში თვითონ უნდა ეძებოს ყაიმი. შესანიშნავად ითამაშა სიმაგინმა, რომელმაც დაამარცხა პოლუგაევსკი.

ბევრი ეცადა სმისლოვი ფურმანთან პარტიაში, მაგრამ ვერაფერს გახდა. ლენინგრადელი ზუსტად თამაშობდა და სმისლოვმა 42-ე სვლაზე თვითონ შესთავაზა მოწინააღმდეგეს ყაიმი.

ლუტიკოვმა დაამარცხა ხასინი, ტაიმანოვმა-ტარასოვი. დანარჩენი პარტიები გადაიდო. კორჩნოის ავერბახთან ორი ზედმეტი პაიკი გააჩნია, მაგრამ მოგება საეჭვოა. ბრონშტეინს შეუძლია მოუგოს ბანიკს, ხოლო შტეინმა—გუფელდს. ბორისენკო საყაიმო შანსებს ინარჩუნებს ბოლესლავსკისთან.

XV ტურის შემდეგ ტ. პეტროსიანს აქვს 10,5 ქულა, ე. გელერს—9,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ერთხელ კიდევ ტურიზმის ფედერაციაზე

ჩვენი ქვეყნის ტურიზმის მოყვარულთა საზოგადოებრიობა ში ხშირად იტყვიან ხოლმე: ტურისტულ კომპასს ახირებული ჩვეულება აქვს — გაზაფხულობით მხოლოდ კავკასიონისაკენ იხრება. ამ ხუმრობაში საკმაო რაოდენობის სიმართლე ურევია; მართო საქართველოს ტურისტულ ბილიკებზე ყოველწლიურად ასეულ ათასობით საბჭოთა და უცხოელი ტურისტი გადის.

გასული წლის ზაფხულში გუჯარეთის ხეობაში გავეცანი ცნობილ ესტონელ მხატვარსა და გამოცდილ ტურისტს ერნსტ ჰალოპს, რომელმაც ხუმრობით შემომჩივლა—„კარგია საქართველოში ტურისტად ყოფნა, მაგრამ დრო არ მოგცემს ყველაფრის ნახვის საშუალებას — ერთი კილომეტრის გავლაზე ოცჯერ მაინც უნდა შევჩერდე, რომ ეს სიმშვენიერე აღიქვაო“.

დიახ, საქართველო ტურისტთა საოცნებო სამყაროა. იგი ჩვენი ქვეყნის ის მხარეა, სადაც ყველაზე მასობრივი და ყველაზეშემოქმედებითი უნდა იყოს ტურიზმი. როგორ თუ უნდა იყოს, განა არ არისო? იტყვის ზოგიერთი. შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ არის, მაგრამ რაც არის, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც უნდა იყოს.

როგორ, განა რა უშლის ხელს მის განვითარებას, მაშ ტურიზმის რესპუბლიკური ფედერაცია რას აკეთებსო, გვისვამს კითხვას ახირებული მკითხველი.

სამწუხაროდ, ამ ფედერაციაზე ლაპარაკის დროს ძირითადად წარსული დროით უნდა ვიხელმძღვანელოთ; წარსულით თუნდაც იმიტომ, რომ ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ წარსულში ტურისტთა ავან-ჩავანმა, მათმა მოამაგემ და ტურისტთა სახელმძღვანელო ნაშრომების ავტორმა დ. ფურცელაძემ ამჯერად გული აიცრუა მათზე და გასული წლის აპრილში დემონსტრაციულად გაწყვიტა კავშირი ტურიზმის რესპუბლიკურ ფედერაციასთან.

მოსალოდნელი იყო, რომ ტურიზმის რესპუბლიკური ფედერაცია არ დაიტყობდა ერთი კაცის, თუნდაც ხელ[illegible]ვანელი მუშაკის გამოკლებას და საქმე ნორმალურ მსვლელობას მიიღებდა. ეს ასე არ მოხდა. ბრძოლა მასობრივი ტურიზმისათვის ერთ წერტილზე გაიყინა და არც სპორტულ ტურიზმში წაწეულა საქმე წინ. მოიწყო ერთადერთი ღონისძიება — ვეკაციანი სამთო-სათხილამურო გადასვლა ბაკურიანი-წალკა-თბილისი. ეს იყო და ეს.

საბედნიეროდ წარმოება-დაწესებულებებში ტურიზმის, როგორც აქტიური დასვენების მძლავრი საშუალების მნიშვნელობა შეგნებული აქვთ და მისდევენ კიდეც მას.

მარტო თბილისის მ. თოიძის სახელობის მე-11 სამხატვრო სასწავლებელმა გასულ წელს ორი რესპუბლიკური მნიშვნელ ო ბ ი ს ღონისძიება ჩაატარა: ჯერ მესამე კატეგორიის სიძნელის მარშრუტი ვარძია-გორი - თბილისი-ევლახი-კასპის ზღვა განვლო და შემდეგ მეორე კატეგორიის სიძნელის მარშრუტი — თბილისი-ორჯონიკიძე-პიატიგორსკი- დომბასი-ქლუხორი-სოხუმი დაფარეს ველოსიპედებით. რამდენიმე ტურისტული ღონისძიება განახორციელეს საქართველოს ფიზკულტურის, თბილისის უცხო ენების, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა.

მოკლედ ტურიზმის რესპუბლიკური ფედერაცია ცალკე და, ტურიზმის საქმიანობა რესპუბლიკაში ცალკე.

ბათუმიდან მოვიდა ცნობა, რომ 2 მაისს შეიქმნა აჭარის ასსრ ტურიზმის სექცია. საქართველოს ტურიზმის ფედერაციამ დებულება და მისალმების დეპეშა გაუგზავნა. ამ ორი ორგანიზაციის ნაცნობობა ამით დამთავრდა. რა მუშაობა წარმოებს ახლა აჭარაში, არავინ იცის.

სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ხაშურის რაისაბჭოს პრეზიდიუმმა ოქტომბერში დეპეშით მოითხოვა ტურისტის და ნორჩი ტურისტის ნიშნით დაჯილდოების წესი. როგორც ჩანს, ხაშურში არის გარკვეული ტურისტული საქმიანობა, მაგრამ აქამდე მისი არსებობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

ფედერაციის პრეზიდიუ მ ი ს სხდომაზე მიღებული დადგენილება ქაღალდზე რჩება და ცხოვრებაში არ ხორციელდება. ასე მაგალითად, საქართველოს ტურისტული ფედერაციის პრეზიდიუმმა გასული წლის 1 თებერვალს იმსჯელა მასობრივი ტურიზმის განვითარებაზე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პირველ რიგში საჭირო იყო ფაქტობრივი მასალის მოგროვება ჩვენს რესპუბლიკაში ტურიზმის არსებული ვითარების გასაგებად.

ამ მიმართებით მათ შეიმუშავეს ორი სტანდარტული ცხრილის ნიმუში, რომელიც დაეგზავნებოდა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს.

ამ ცხრილებში აღიინიშნებოდა ადგილობრივ არსებული ტურისტული სექციების რაოდენობა, კოლექტივების დასახელება, თანრიგოსნებისა და ნიშნოსანთა რაოდენობა და სხვ. მოკლედ გადაწყვეტილება დროული და საქმიანი იყო, მაგრამ იგი ქაღალდზე დარჩა. სხვათა შორის, მაგიდის უჯრაში დაობდა თბილისის ტურისტული სექციის მიერ შემუშავებული ცხრილებიც, რომლებიც დედაქალაქის წარმოება-დაწესებულებებსა და სასწავლებლებს უნდა დაგზავნოდა.

მასობრივი ტურიზმის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტურისტული ქოხებისა და ღამის სათევების მოწყობას მთიან ადგილებში. უსაც გაითვალისწინეს ტურიზმის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე. სამწუხაროდ, ამ საკითხმაც პირველის ბედი გაიზიარა.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 13 აპრილის დადგენილებით (საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებსა და დაწესებულებებში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ) სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნისა და თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის საწარმოებს დაევალათ საწარმოო ფონდიდან 1960-1961 წლებში დაამთავრებინათ ტურისტული ტიპიური ბაზების (ორასკაციანი) მშენებლობა: შესაბამისად ბაკურიანში, შავი ზღვის სანაპიროზე და თბილისის ზღვაზე. ჩამოთვლილი საწარმოებიდან მხოლოდ ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ დაიწყო ტურისტული ბაზის მშენებლობა ქობულეთის რაიონში.

თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტმა გასულ წელს შეიმუშავა ზედაზნის მთაზე ტურისტული ქოხის აგების პროექტი და სურდა დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლებისათვისაც მოეწოდებინა მსგავს ღონისძიებათა განხორციელება. ეს მართლაც შესანიშნავი საჩუქარი იქნებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, სასწორის ერთი მხარე ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გაფორმებაზე დახარჯულმა თანხებმა გადაძალა და ეს პროექტიც ჰაერში დაკიდებული აღმოჩნდა.

გარდა ამისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ კარვების, საძილე ტომრებისა და სხვა ტურისტული საჭურველის უქონლობა ბევრ ორგანიზაციას აფერხებს მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარებაში. საჭიროა ეს გაითვალისწინონ როგორც თბილისის, ისე სხვა ქალაქების სპორტკავშირებმა და შეიძინონ აღნიშნული ინვენტარი.

საჭირო აგრეთვე ტურიზმში თანრიგოსანთა მომზადების გეგმები შეტანილი იქნეს თანრიგოსანთა მომზადების სავალდებულო გეგმებში. ეს გამოაფხიზლებდა სასპორტო საზოგადოებათა ტურისტულ სექციებს და მნიშვნელოვნად წასწევდა წინ მასობრივი ტურიზმის განვითარების საქმეს.

გ. სამსონაძე

ამ საქმეს ადმინისტრაცია უნდა ხელმძღვანელობდეს

ქუთაისის წარმოება-დაწესებულებებში საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვისა და განვითარების სასარგებლო საქმეში ჩაბმულია 16 მეთოდისტი და 200-ზე მეტი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, რომელიც შერჩეულნი არიან მოწინავე ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა რიგებიდან. ნაყოფიერი მუშაობის მხრივ მისაბაძია თ. ყიფიანის— (საქსახპროექტის ქუთაისის განყოფილება), მ. მარჯანიშვილის (საქენერგოს ქუთაისის განყოფილება), მ. შაფრანის — (ელექტრომანქანათმშენებელი ქარხანა) და სხვა საზოგადოებრივი ინსტრუქტორების საქმიანობა.

მაგრამ ყველაფერი წესრიგში მაინც არაა ამ ქალაქში. შესამჩნევია, რომ მეთოდისტთა საქმიანობა შეზღუდულია მხოლოდ მუშაობამდე ტანვარჯიშის კომპლექსების ჩატარებით. ასე მაგალითად, ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მრავალათასიან კოლექტივში 100 კაციც კი არაა ჩაბმული ფიზკულტურულ პაუზაში. ბევრმა „თავი მიანება“ საწარმოო ტანვარჯიშს, რადგან ცალკეულ საამქროთა უფროსებმა უარი უთხრეს მეთოდისტებს საამქროებში აგრეგატთა გამორთვაზე, რის გარეშე (ხმაურის გამო) საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარებაზე ლაპარაკი ზედმეტია. იმის გამო, რომ ავტოქარხნის საამქროები ჯერ კიდევ არ არის რადიოფიცირებული, საწარმოო ტანვარჯიშის კომპლექსების ჩატარება პრიმიტიულ ხასიათს ატარებს, ვარჯიშებს არ ახლავს მუსიკის აკომპონიმენტი. ავტოქარხანაში მუშაობს სამი შტატიანი მეთოდისტი (!), რომლებიც მიეჩვიენ უსაქმობას და ნაკლებად იწუხებენ თავს, რათა ამ დიდ სამრეწველო გიგანტში საწარმოო ტანვარჯიშმა თავისი ნამდვილი ადგილი დაიმკვიდროს.

ანალოგიური მდგომარეობაა აბრეშუმის კომბინატშიც. აქ ძირითადი ყურადღება დათმობილი აქვს მუშაობამდე ტანვარჯიშს, თუმცა მასში მუშა-მოსამსახურეთა მეტად მცირე რაოდენობაა ჩაბმული. პირველ და მეორე საამქროში საწარმოო ტანვარჯიში არ ტარდება. საქსოვ საამქროში ვარჯიშების ჩატარება შეუძლებელია დაზგების გაჩერების გარეშე, რომლის კატეგორიული წინააღმდეგია კომბინატის ხელმძღვანელობა. 3 წელია დირექცია პირდება მეთოდისტებს საამქროების რადიოფიცირებას, მაგრამ ეს დაპირება დღემდე შეუსრულებელი რჩება.

ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკაში ყველაზე კარგი შესაძლებლობანია საწარმოო ტანვარჯიშის მოწოდების სიმაღლეზე ასაყვანად. ფაბრიკა რადიოფიცირებულია, აქვთ მაგნიტოფონიც. მიუხედავად ამისა, მეთოდისტი კ. ჩოგოვაძე ვარჯიშების ჩატარებას ამჯობინებს პრიმიტიული წესით.

მუშაობის სპეციფიურობის გამო, შედარებით ძნელია ამ საქმის მოგვარება ელექტრომანქანათმშენებელ ქარხანაში. მიუხედავად ამისა, ინსტრუქტორ-მეთოდისტ ო. კაკულას დიდი მუშაობა გაუწევია საწარმოო ტანვარჯიშის დასანერგად. ამ საქმეში მეთოდისტს დიდ დახმარებას უწევს ქარხნის ადმინისტრაცია, პროფორგანიზაცია და კომკავშირი.

არასახარბიელო მდგომარეობაა მინისტარის ქარხანაშიც. მეთოდისტი ო. ჭეიშვილი სხვა საქმეებით უფრო არის დაინტერესებული, ვიდრე თავისი უშუალო მოვალეობით.

საჭიროა ქუთაისის სპორტკავშირმა და „განთიადის“ საქალაქო საბჭომ მეტი ყურადღება მიაქცონ ამ სასარგებლო საქმეს.

ა. დოკვაძე.

საწარმოო ტანვარჯიშის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე.

ახალქალაქის გუნდი — ხაქართველოს 1961 წლის ჩემპიონი შაიბიან ჰოკეიში.

საქართველოს ჰოკეისტთა ორი მატჩი

29 იანვარს, ტალინში საქართველოს ახალბედა ჰოკეისტთა გუნდმა გამართა თავისი პირველი ოფიციალური მატჩი საკავშირო შეჯიბრებაზე, რომელშიც მონაწილეობენ რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენმა ჰოკეისტებმა, რომლებმაც ფაქტიურად ორი თვეც არ არის, რაც ნამდვილ ყინულზე დაიწყეს ვარჯიში, განიცადეს დამარცხება დიდი ანგარიშით ესტონეთის ნაკრებთან — 0:25. შეჯიბრების დებულების თანახმად მეორე დღეს გუნდები განმეორებით მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვეს კვლავ ესტონელებმა — 12:0.

ეს დამარცხებები არ უნდა გახდეს იმედგაცრუების საბაბი. მანამ, სანამ ჩვენი გუნდი შეძენს სატურნირო გამოცდილებას და რამდენადმე სრულყოფილ დაეუფლება ჰოკეის თამაშის მრავალფეროვან ტექნიკურ არსენალს, შეუძლებელია მან არ განიცადოს დამარცხებები, თუნდაც ასეთი დიდი ანგარიშითაც კი.

შემდეგი მატჩი საქართველოს ჰოკეისტებს ჰქონდათ ლიტვის ნაკრებთან, მაგრამ არ შედგა. ვინაიდან ლიტველებმა გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 16 (1652)

„ბურევესტნიკის“ ნახევარფინალები

თბილისში, რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ნახევარფინალური ტურნირები ვაჟთა და ქალთათვის.

ქალთა ტურნირის მონაწილეთა შორის არიან ცნობილი მოჭადრაკეები თ. სტრანდსტრემი (მოსკოვი) და რ. ესტერკინა (ლენინგრადი). ტურნირში თამაშობენ აგრეთვე თბილისელი მოჭადრაკეები უნივერსიტეტის ჩემპიონი თ. ყორეოლაძე, გ. ბუცხრიკიძე, ნ. ჯანგველაძე და მ. ჩომახიძე.

სამი ტურის შემდეგ ლიდერობს მოსკოველი, ა. გრამოტკინა, რომელიც, სხვათა შორის, ცნობილი ოსტატის ვ. ტიხომიროვას ქალიშვილია.

ვაჟთა ტურნირში ფინალში მონაწილეობის უფლებისათვის (დაიშვებიან I-II ადგილებზე გამოსულნი), იბრძვის 18 მოჭადრაკე, რომელთა შორის 9 ოსტატობის კანდიდატია. აქ ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობენ ოსტატობის კანდიდატები გ. გამრეკელი, თ. კოკიანი და პირველთანრიგოსანი მ. თხელიძე.

ტურნირში უკვე გათამაშებულია სამი ტური, გამოვლინდნენ ლიდერები, რომელთა შორის არის გ. გამრეკელი.

მეორე მოგება

თბილისის „ბურევესტნიკისა“ და მოსკოვის „დინამოს“ ფრენბურთელ ვაჟთა გუნდებმა მორიგი მატჩი (3 თებერვალს) სსრ კავშირის 1961 წლის პირველობაზე თავიანთი ძირითადი შემადგენლობით დაიწყეს. მოსკოველებს მთელი უურადღება თავიანთ კაპიტანზე — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს ფრენბურთელზე ბ. სმოლიანოვზე ჰქონდათ გადატანილი. ისინი ცდილობდნენ გადამწყვეტი იერიშის დასაგვირგვინებლად მხოლოდ იგი გაეყვანათ. თბილისელებმა ამ აგრესიულ თავდამსხმელს გაუვალი ბლოკით უპასუხეს და მის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთები მასვე უბრუნდებოდა. ეს კი თბილისელებს ან ქულას, ან მოწოდების უფლებას აძლევდა.

თამაში სტუმრებმა წაიყვანეს — 4:0. შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 4:4, 5:5, 11:11, 13:13. აქ კი დინამოელები ერთი ქულით დაწინაურდნენ (15:14, 16:15). ამ მომენტში დაიწყო ბურევესტნიკელთა აღმავლობა. მოედანზე გაჩაღეს ფიცხელი თამაში, მოწინააღმდეგენი დაჯაბნეს და პარტია მოიგეს კიდეც — 18:16.

გუნდებმა მხარეები შეიცვალეს. თბილისელებმა შეუტიეს. კაჭარავას, გავრილენკოს, ბოიკოს, ბუინოვის დარტყმები მიზანს აღწევდა, ხოლო სტუმრების კაპიტანი ბ. სმოლიანოვი იმდენად დაიბნა, რომ მოწოდებიდან გაგზავნილ ბურთსაც ვერ იღებდა. საქმეში დინამოელთა მწვრთნელი, წინათ უძლიერესი ფრენბურთელი, სპორტის დახელოვნებული ოსტატი ვ. შაგინი ჩაერია. ვერც ამან უშველა საქმეს. თბილისელებს ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა და მეორე პარტიაც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 15:9.

მესამე პარტიაში ყველა ელოდა, რომ სტუმრები ბოლოსდაბოლოს „თავის სიტყვას“ იტყოდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა. დასაწყისშივე მეორე პარტიის სურათი განმეორდა და დინამოელები გონს მაშინ მოვიდნენ, როცა დაფაზე აღინიშნა ანგარიში 12:6 თბილისელთა სასარგებლოდ. სტუმრებმა საპასუხო იერიშები წამოიწყეს, მთელი ძალით ამოქმედდა მათი გუნდი, ანგარიშში განსხვავება ერთ ქულამდეც დაიყვანეს (12:13). მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლეს და დამარცხდნენ — 12:15.

ჩვენს ფრენბურთელებს წინ კიდევ „აპასუხებელი“ მატჩები აქვთ ჩასატარებელი. „მიტომ“ განსაკუთრებული ყურადღება უდა მიექცეს დაცვით ელემენტების სრულყოფას, ტაქტიკურ მრავალფეროვნებას. მაშინ იმედი გვაქვს, რომ რესპუბლიკის უძლიერესი გუნდი აღარ მოგვევლინება „მოხეტიალის“ როლში („ა“ კლასიდან „ბ“ კლასში).

ხ. ნადიბაიძე

• • •

სურათზე: თბილისელი კაჭარავა ურტყამს ბურთს.



სეზონის ცენტრალური მატჩი

ამ მატჩს მოუთმენლად ელოდნენ თბილისში. საბჭოთა კალათბურთის ორი ბრწყინვალე წარმომადგენლის — მოსკოვის ცსკა-სი. და თბილისის „დინამოს“ შეხვედრა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი იყო. შეხვედრა მართლაც საინტერესო გამოდგა, მთლიანად გაამართლა მაყურებელთა მოლოდინი. 40 წუთის მანძილზე გუნდებმა მაყურებლებს აჩვენეს ნამდვილად „დიდი კალათბურთი“, ისეთი როგორსაც ყოველდღე ვერ ნახავ.

ცსკა-ს თავისი სტილი, თამაშის თავისებური მანერა აქვს, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება სხვა გუნდებისაგან და რომელიც ჩვენის აზრით, უფრო რაციონალური და მაშასადამე, უფრო პროგრესულიცაა. ყოველი გუნდის საბოლოო მიზანს კალათის წარმატებით აღება წარმოადგენს, მაგრამ არსებობს სხვადასხვა გზები, რომლებითაც შეიძლება მისი განხორციელება. ცსკა-ს ეს გზა ყველაზე მარტივი, გარეგნულად უეფექტო, მაგრამ შედეგიანი აქვს. იგი არ ეძებს რთულ ვარიანტებს მოწინააღმდეგის ფარქვეშ გასასვლელად, არ ხლართავს კომბინაციათა ქსელს და არ იგრძელებს მანძილს საბოლოო მიზნამდე. გუნდის წევრები ერთის შეხედვით თითქოს ნაკლებ მოძრაობენ. ისინი მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს უცდიან, რათა წარმატებით დააგვირგვინონ ფარის იერიში.

გუნდი იბრძვის თანაბარი თავგანწირვით პირველიდან უკანასკნელ წუთამდე. განსაკუთრებით აქტიური არიან ისინი ფარქვეშ მუშაობის დროს, სადაც წარმატებით მონაწილეობენ როგორც მაღალი, ისე დაბალი ტანის სპორტსმენები. და ბოლოს, გუნდის წევრები ჩინებულად არიან მომზადებული ფიზიკურად, რაც მათ საშუალებას აძლევს გაუძლონ ყოველგვარ დატვირთვას.

„დინამო“ სხვაგვარად თამაშობს. მას ქულის ასაღებად გაცილებით მეტი ენერგიის დახარჯვა უხდება. იგი მოწინააღმდეგის კალათამდე რთული გზებით მიდის, უფრო მეტ ხანს აჩერებს ბურთს და ამიტომაც უფრო მეტჯერ კარგავს კალათის აღების ხელსაყრელ მომენტებს. რაც მთავარია, დინამოელები ცოტას და არაზუსტად ესვრიან კალათში. თანამედროვე კალათბურთი კი ამაღლდა იმ დონემდე, რომ გუნდში ერთი ან ორი სნაიპერი უკვე თითქმის არაფერს ნიშნავს.

და მაინც თბილისის „დინამოს“ შეეძლო ამ შეხვედრის ბოგება. მე-11 წუთიდან პირველი ნახევრის დამთავრებამდე ინიციატივა „დინამოს“ მტკიცედ ეპყრა ხელთ. წარმატებით დაიწყო მან მატჩის მეორე ნახევარიც, მაგრამ ჩვენს გუნდს ენერგია მხოლოდ 26-ე წუთამდე ეყო. სულ მალე გაქრა შრომით მოპოვებული 10-ქულიანი განსხვავება (41:31) და თამაშმა არმიელთათვის ხელსაყრელი ფორმა მიიღო. არ გაამართლა არც უგრეხელიძის შეცვლამ აღტაბაევით. დინამოელთა თამაშს ნერვიულობა და დაღლა დაეტყო, ამან კი საბოლოოდ გადახარა სასწორი მოსკოველთა სასარგებლოდ, რომლებმაც მოიგეს კიდეც მატჩი ანგარიშით — 65:62 (პირველი ნახევარი 34:29 „დინამოს“ სასარგებლოდ).

• • •

გუშინ, თბილისის „ბურევესტნიკი“ შეხვდა მოსკოვის ცსკა-ს. თამაში, რომელიც მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა, დამთავრდა მოსკოველთა სასარგებლოდ ანგარიშით 68:46.

• • •

სურათზე: თამაშის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სამი უნივერსიტეტის მატჩი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკაზრდისა და სპორტის კათედრამ სამატჩო შეხვედრაზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს, მოიწვია ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ედინბურგის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრები გუნდები. შეჯიბრება ჩატარდა ტანვარჯიშში, ფარიკაობაში, კალათბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთსა და სამბოში.

სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენებმა დროებით დაიწყეს სტუმარ-მასპინძლობის ადათები და საგრძნობლად „დაჩაგრეს“ სტუმრები. ჯერ იყო და სამბისტებმა შეავიწროვეს მოწინააღმდეგეები და მხოლოდ სამ წონით კატეგორიაში მისცეს საშუალება მოსკოველ სტუდენტებს (ი. სტეპანოვი, ვ. ბუდანოვი, ვ. კომაროვი) დაეკავებინათ პირველი ადგილი. დანარჩენ წონებში თავის გუნდს გამარჯვება მოუტანეს თბილისელმა სტუდენტებმა რ. ლომსაძემ, გ. ბესტავაშვილმა, ვ. და ფ. ჩიქვილაძეებმა და ი. გვრიტიშვილმა. ასევე ძლიერნი აღმოჩნდნენ თბილისელი სტუდენტები ტანვარჯიშში, რომლებმაც ლენინგრადელთა ძლიერ კოლექტივთან დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვეს პირველი ადგილი. ჩვეული ოსტატობით შეასრულა ნებისმიერი ვარჯიშები და ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა თბილისის უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტმა. სპორტის ოსტატმა მ. ნინოშვილმა. ვაჟთა შორის უძლიერესი კვლავ თბილისელი სპორტის ოსტატი ვ. ბოგუსი აღმოჩნდა.

პირველი ადგილები დაისაკუთრა მასპინძლებმა აგრეთვე ფარიკაობაში, ჩოგბურთსა და ფრენბურთში. გამონაკლისი მხოლოდ ქალათბურთელმა ქალებმა შეადგინეს.

უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოეწყო ასპარეზობის დასკვნითი საღამო, სადაც შეჯიბრებაში გამარჯვებულ გუნდებსა და სპორტსმენებს გადაეცათ ჯილდოები. დასასრულ უნივერსიტეტის პროორექტორმა პროფესორმა ს. ელენტმა შეჯიბრების ყველა მონაწილეს უსურვა წარმატება სწავლაში, შრომასა და სპორტში.

ა. ბარნოვი

გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები

ჩვენ ისევ თბილისის განათლების სამინისტროს ტანვარჯიშულ დარბაზში ვართ, სადაც მიმდინარეობს ხელბურთში საკავშირო შეჯიბრების უკანასკნელი მატჩები. აღსანიშნავია, რომ ფინალისტებს ამ დღისათვის თითქმის თანაბარი ქულები ჰქონდათ. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ერევნის „სპარტაკისა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდები. ჩვენც სწორედ ამ უკანასკნელზე შევჩერდებით.

თბილისელები ტურნირის დასაწყისში აზრიანად და კომბინაციურად თამაშობდნენ. შეხვედრის პირველ ნახევარს ატარებდნენ მაღალ ტემპში, რასაც თან სდევდა სასურველი შედეგი. ასე იყო მაგალითად სერპუხოველებთან და ლვოველებთან შეხვედრაში. მაგრამ მეორე ნახევარში თბილისელთა შორის თავს იჩენდა ხოლმე ძველი სენი — ფიზიკური სისუსტე. ამიტომ შეხვედრები მთავრდებოდა მოწინააღმდეგეთა გამარჯვებით.

დრამატულად წარიმართა თბილისელთა შეხვედრა მოსკოვის „ტრუდთან“. საქმე იმაშია, რომ ამ შეხვედრაში აშკარად გამოჩნდა თბილისელთა ყველა სუსტი მხარე. მეორე ნახევრის მეექვსე წუთზე, როდესაც საჭირო იყო მთელი ძალების მობილიზება და ძლიერი თამაში, თბილისელმა გ. მაჭავარიანმა ფეხით დაიწყო თამაში. იგი ორი წუთით გაძევეს მოედნიდან და თბილისელთა კარში ორი ბურთიც გავიდა. თბილისელთა კაპიტანმა თ. ანთაძემ იმის მაგვარად, რომ სათავეში ჩადგომოდა გუნდს, თვითონ მოითხოვა შეცვლა და მოედანი დატოვა. მატჩი დამთავრდა თბილისელთათვის კატასტროფული ანგარიშით 10:33.

თბილისის ტურნირის შედეგებიდან ჩვენმა ხელბურთელებმა უნდა გამოიტანონ სათანადო დასკვნები, ანალიზი გაუკეთონ და გაარჩიონ ყველა თამაში, რათა ის ხარვეზები, რომელიც თან სდევდა, მომავალში აღარ განმეორდეს.

ტურნირში პირველი ადგილი ვაჟთა შორის მოიპოვა მოსკოვის „ტრუდის“ კოლექტივმა, რომელსაც გადაეცა გარდამავალი თასი და სიგელი, მეორე ადგილზეა ბაქოს სკიფი, მესამეზე გამოვიდნენ სერპუხოვის „ტრუდისა“ და მეოთხეზე — ლვოვის სკიფის ხელბურთელები.

ქალთა შორის პირველ ადგილზე გავიდნენ კალინინგრადის კოლექტივი. მეორეზე მოსკოვის „ტრუდისა“ და მესამეზე — ვილნიუსის „ჟალგირისის“ ხელბურთელთა გუნდები.

თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდმა შეჯიბრებაში დაიკავა მეშვიდე ადგილი.

ვ. ხანჯალაძე

ქალაქის პირველობა

თბილისის 1961 წლის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატში ბრძოლა პირველობისათვის ძირითადად მიმდინარეობს ქ. გოგიავასა და ლ. ნაჭყებიას შორის, რომლებმაც შესამჩნევად გაუსწრეს მეტოქეებს.

XI ტურამდე წინ იყო ქ. გოგიავა, მაგრამ მას მომდევნო ორ ტურში მოუგეს ვ. კუპრაშვილმა და დ. ღლონტმა და ლიდერს გაასწრო ლ. ნაჭყებიამ. XIII ტურის შემდეგ ლ. ნაჭყებიას აქვს 10,5 ქულა ხოლო ქ. გოგიავას — 10.

ლელო

მე-3 გვ. № 16 (1652)

ინგლისელ ფეხბურთელთა გამარჯვება... გაფიცვაში

ამ დღეებში ინგლისელმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს კიდევ ერთი, მეტად სერიოზული გამარჯვება. მართალია, ეს გამარჯვება ამჯერად მოპოვებულ იქნა არა მწვანე მინდორზე წარმოებულ ბრძოლაში, არამედ სულ სხვა ფრონტზე, მაგრამ იგი ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და ღირსშესანიშნავია ინგლისელ ფეხბურთელთა ისტორიაში.

ინგლისში დიდი ხანია მიმდინარეობს ფარული ბრძოლა ფეხბურთელთა და ე. წ. დამქირავებელთა, კლუბის მეპატრონეთა შორის. პირველი უთანხმოებანი თანდათან გადაიზარდა კონფლიქტში და ბოლოს გამწვავდა ისე. რომ სკანდალურ ფორმებს მიაღწია. ფეხბურთელებმა გამოძებნეს საერთო ენა, მოიშველიეს საზოგადოებრივი პროტესტის მზარდი ძალა და აქტიურად აიმაღლეს ხმა თავიანთ უფლებათა დასაცავად.

ფეხბურთელებმა კონკრეტული მოთხოვნები წაუყენეს ლიგას — ინგლისური ფეხბურთის გამგებელ ორგანოს და მოითხოვეს თავიანთი ულტიმატუმის დაუყოვნებელი დაკმაყოფილება. მაგრამ ლიგას არ სურდა გაეწია მათთვის ანგარიში. დაეკმაყოფილებინა სპორტსმენთა კანონიერი მოთხოვნები. რის შედეგად საქმემ სერიოზული მიმართულება მიიღო.

დიდი საფეხბურთო ცენტრების — ლონდონის, ბირმინჰამის, მანჩესტერის ლიგებმა მოაწყეს მოთამაშეთა დიდი კრება, სადაც ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით (680:18) გადაწყდა მოწყობილიყო ინგლისელ პროფესიონალ ფეხბურთელთა საერთო გაფიცვა, რომელიც გაგრძელდებოდა მანამ, სანამ „დიდი ლიგა“ არ დაკმაყოფილებდა მოთამაშეთა „პეტიციის“ უმნიშვნელოვანეს პუნქტებს.

ანალოგიურ კონფლიქტებს დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე არაერთხელ ჰქონია ადგილი, მაგრამ ეს იყო ინგლისელ ფეხბურთელთა ყველაზე სერიოზული და მძაფრი იერიში.

ლონდონში ეწყობოდა საპროტესტო დემონსტრაციები, სადაც მონაწილეობდა სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული 300-ზე მეტი განთქმული ფეხბურთელი. მათ, რა თქმა უნდა, ჰყვებოდა ხალხიც და ქალაქის ქუჩებში ხანგრძლივად წყდებოდა სატრანსპორტო მოძრაობა. შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტები, საქმეში დაუყოვნებლივ ჩაება ფეხბურთელთა პროფესიული კავშირი, რომელმაც აქტიურად დაუჭირა მხარი გაფიცვას. მოთამაშეებს შეუერთდნენ სტადიონების კონტროლიორები, ელექტრიკოსები, პროგრამების გამყიდველები. გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა ახალ - ახალი ცნობები გაფიცვის მთავარი შტაბიდან.

ფეხბურთელთა პროფესიული კავშირის ხელმძღვანელმა ჯიმ ბილმა განაცხადა: „ჩვენი გაფიცვა არ იქნება სტიქიური და არაორგანიზებული. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ვიბრძოლოთ სრულ გამარჯვებამდე“.

ერთი სიტყვით, ფეხბურთელთა მოთხოვნებს კატეგორიული ხასიათი ჰქონდა და გაფიცვა თანდათან ღებულობდა რეალურ ფორმებს. კიდევ ცოტა და ინგლისი რჩებოდა ფეხბურთის გარეშე. ეს კი მთელი რევოლუციაა ამ ქვეყნისათვის.

ცნობილია, რომ ინგლისელი პროფესიონალი მოთამაშე კლუბთან დაკავშირებულია კონტრაქტით. ეს კი ისეთი რთული იურიდიული ლაბირინთია, რომ მასში არა თუ ფეხბურთელს, გამოცდილ ადვოკატსაც კი გაუჭირდება გარკვევა.

აი მაგალითი. ლიგას პროფესიონალ ფეხბურთელთათვის დაწესებული აქვს მაქსიმუმი, რომლის გადაჭარბება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მაგრამ გარანტირებული მინიმუმი არ არსებობს. ე. ი. დამქირავებელს სურვილისამებრ შეუძლია მოთამაშეს შეუმციროს ხელფასი, მაგრამ მომატებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ ფეხბურთელი ხდება კლუბის, ანუ დამქირავებლის სრული საკუთრება, რომელსაც იგი განაგებს საკუთარი სურვილისამებრ. კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის ძალითაც მეპატრონეს შეუძლია მოთამაშის გაყიდვა, გაქირავება, გადაყვანა თავისი სისტემის დაბალ გუნდებში. ამიტომ მოთამაშე კონტრაქტზე ხელმოწერის დღიდან გადადის კლუბის გამგებელთა აბსოლუტურ საკუთრებაში. ამიტომაა, რომ მეპატრონეები გროშის ფასად ყიდულობენ ქერათმიან მკვირცხლ ბიჭუნას, ხოლო შემდეგ, როცა იგი „ოქროს ფეხებს“ გამოიბამს და გამოჩენილ ფეხბურთელად იქცევა, საზღაპრო თანხად ყიდის დიდ საფეხბურთო ბაზარზე. მოთამაშე კი ამ დროს ღებულობს იგივე ხელფასს, რასაც ოდესღაც, ახალგაზრდობის დროს.

განთქმულმა ინგლისელმა ფეხბურთელმა 46 წლის სტენლი მეტიუზმა განაცხადა: „დასაწყისში მე გაფიცვის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ შემდგომში მივედი იმ დასკვნამდე, რომ ბრიტანულ ფეხბურთს ესაჭიროება რეფორმა“.

არანაკლებ ცნობილმა პროფესიონალმა, „მანჩესტერ სიტის“ კაპიტანმა კეპ ბარნესმა ს. მეტიუზის სიტყვებს დაუმატა: „ჩვენ, მოთამაშეებს გვყიდიან და გვყიდულობენ ზუსტად ისევე, როგორც მონებს ძველი აღმოსავლეთის ბაზრებზე. თუ არ ასიამოვნე კლუბის მეფეებს, მათ შეუძლიათ თავი გიკრან ქუჩაში და სამუდამოდ გაგიფუჭონ ფეხბურთის თამაშის ხასიათი“.

ეს დიდი ბრძოლა დაქირავებულთა და დამქირავებელთა შორის დამთავრდა ფეხბურთელთა დიდი გამარჯვებით. შედარებით იოლად გადაწყდა ფინანსური საკითხი. აღიკვეთა ხელფასის ლიმიტი, რის შედეგადაც ფეხბურთელს მატერიალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამიერიდან მოთამაშეები ჯამაგირს მიიღებენ თავიანთ შესაძლებლობათა შესაბამისად.

გაცილებით უფრო რთული შეიქმნა ე. წ. საუფლებო ურთიერთობათა მოგვარება. ლიგის ხელმძღვანელები დიდ ხანს ებღაუჭებოდნენ თავიანთ პრივილეგირებულ უფლებებს, მაგრამ სამართლიანობამ აქაც ჰპოვა აღიარება. ძველი კაბალური კონტრაქტების ნაცვლად შემოღებულია შრომითი ხელშეკრულებანი, სადაც არის ახალი, მეტად მნიშვნელოვანი პუნქტები. ხელშეკრულების ძალით არ შეიძლება ფეხბურთელის გაყიდვა და გადაყვანა სხვა კლუბში, თუ ამ საკითხზე არ იქნა მისი დასტური. ამიერიდან მას შეუძლია ამოირჩიოს კლუბი, პარტნიორები, გადავიდეს იქ სურვილისამებრ სეზონის დამთავრების შემდეგ. ე. ი. „მონათა ბაზარი“ მოისპობა და ფეხბურთელს შეეძლება არჩევანი გააკეთოს სურვილისამებრ.

საფეხბურთო ცხოვრება ინგლისში გრძელდება. ბრიტანეთის ფეხბურთელებმა მოიპოვეს თავიანთი ყველაზე დიდი გამარჯვება.



ფეხბურთის ქალაქი ქვეყანაში

დიდი საერთაშორისო გამოკითხვა

ცნობილმა გერმანულმა ჟურნალმა „ფუსბალ-ვოჩემ“ ფეხბურთში 1962 წლის ჩემპიონატთან დაკავშირებით ევროპის ქვეყნების ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელებს მისცა სამი შეკითხვა:

1. დაასახელეთ გასული სეზონის 10 უძლიერესი ეროვნული ნაკრები ევროპაში?

2. რომელი გუნდები მოიპოვებენ ჩილში გამგზავრების უფლებას ევროპიდან?

3. როგორია თქვენი გეგმები 1961 წელს?

ამ შეკითხვებს გამოეხმაურნენ შემდეგი მწვრთნელები.

✦

რუდოლფ ვიტლაჩილი (ჩეხოსლოვაკია).

1. ჩემის აზრით, ევროპაში უძლიერესი გუნდები არიან იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, სსრ კავშირი, უნგრეთი, შვეიცია, ინგლისი, გფრ, ბულგარეთი, საფრანგეთი, ესპანეთი. მე შევეცადე ნაკრებები დამეჯგუფებინა შემდეგი სამი ნიშნის მიხედვით:

1) გუნდები, რომლებსაც თანამედროვე ფეხბურთის ყველა ელემენტი აქვთ. ამ მხრივ სამაგალითოდ მე ვთვლი ბრაზილიელებს, რომელთაც სამართლიანად ეკუთვნით პირველი ადგილი მსოფლიოში. ევროპაში ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან იუგოსლაველები, საბჭოთა კავშირის ნაკრები, უნგრელები და, მე ვიტყოდი, ჩეხებიც.

2) გუნდები, რომლებიც ამ ჯგუფს უახლოვდებიან. ესენი არიან შვეიცის, ინგლისისა და გფრ-ს გუნდები. მათ გასული წლის განმავლობაში არაერთი საუცხოო მატჩი ჩაატარეს.

3) ამ ჯგუფში შეიძლება ტექნიკურად საუცხოოდ მომზადებული ბულგარელების აღნიშვნა. მათ მცირე ხნის შემდეგ ისევ პირველხარისხოვანი როლი უნდა შეასრულონ ევროპულ ფეხბურთში.

2. ჩილში გამგზავრების უფლება უნდა მოიპოვონ: შვეიცის, საფრანგეთის, გფრ-ს, უნგრეთის ან გდრ-ს, სსრ კავშირის, ინგლისის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, ესპანეთისა და იუგოსლავიის გუნდებმა.

3. ჩემი სურვილია ჩეხებმა ჩილში გამგზავრების უფლება მოიპოვონ. მათ ყველა შესაძლებლობა აქვთ ამ მიზნის მისაღწევად.

ჩესლავ პრუშეკი (პოლონეთი).

1. ევროპის უძლიერესი გუნდების ცხრილი მე ასე წარმომიდგენია: სსრ კავშირი, იუგოსლავია, ინგლისი, ჩეხოსლოვაკია, გფრ, ესპანეთი, შვეიცია, უნგრეთი, ბულგარეთი და დანია.

2. ჩემის აზრით მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ევროპის ჯგუფიდან გავლენ: შვეიცია, ბულგარეთი, გფრ, უნგრეთი, სსრ კავშირი, ინგლისი, იტალია, ჩეხოსლოვაკია, ესპანეთი და იუგოსლავია ან პოლონეთი. თავისთავად გასაგებია, რომ ჩვენ თვით იუგოსლავიის ძლიერ ნაკრებთანაც კი არ გვსურს დავყაროთ ფარ-ხმალი.

3. მომდინარე წელს ჩვენ შევეცდებით მივაღწიოთ პოლონური ფეხბურთის შემდგომ წინსვლას. ივნისში ვხვდებით იუგოსლაველებს, შემდეგ მივემგზავრებით შორეულ მოგზაურობაში იაპონიაში და იქიდან ჩილში.

გეორგე პოპესკუ (რუმინეთი).

1. ევროპაში უძლიერესი გუნდებია: სსრ კავშირი, ინგლისი, საფრანგეთი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, გფრ, იტალია, შვეიცია, უნგრეთი, ავსტრია.

საბჭოთა კავშირის გუნდისათვის პირველი ადგილის მიკუთვნება განპირობა მისმა გამარჯვებამ ევროპის თასზე.

2. ევროპის ჯგუფებში გაიმარჯვებენ: შვეიცია, საფრანგეთი, სსრ კავშირი, უნგრეთი, გფრ, ინგლისი, იტალია, ჩეხოსლოვაკია, ესპანეთი და იუგოსლავია.

3. მოგეხსენებათ, რომ რუმინეთის ფეხბურთის კავშირმა ხელი აიღო 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე. შექმნილ სიტუაციაში ეს სწორი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ჩვენ შევეცდებით ისევ შეექმნათ ძლიერი ნაკრები, ჩავატაროთ მრავალი საერთაშორისო შეხვედრა. 1961 წელს ჩვენ კვლავ გვსურს დავიკავოთ საშუალო ადგილი ევროპულ ფეხბურთში.

რედაქტორი ი. უგულავა.

რომი. დამთავრდა ფართოეკრანიანი იტალიური ფილმის—„XVII ოლიმპიური თამაშები“ გადაღება. ამას წინათ რომის საოპერო თეატრში მოეწყო ფილმის პრემიერა, რომელმაც სადღესასწაულო ვითარებაში ჩაიარა.

ნიუ-იორკი. დამთავრდა მოლაპარაკება ფ. პატერსონის (აშშ) და ი. იუპანსონის (შვეიცია) მესამე მატჩის მოწყობაზე. მოკრივეები ერთმანეთს შეხვდებიან 13 მარტს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ პალმ ბიჩში.

კასაბლანკა. ფრენბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში (ქალთა შორის) კასაბლანკის გუნდმა დაამარცხა ბელგრადის „პარტიზანი“ — 3 : 0.

ადმორი. (ახალი ზელანდია). აქ გაიმართა ავტომობილისტთა საერთაშორისო შეჯიბრება „დიდ პრიზზე“. პირველი ადგილი მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონმა ავსტრალიელმა ბრებჰემმა. მან განავითარა სიჩქარე საშუალოდ 140, 160 კმ საათში.

დღეს!

ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში

ფრენბურთი

საკავშირო პირველობა

»ბურევესტნიკი« (თბილისი) — მაი (მოსკოვი)

დასაწყისი 14 საათზე.

კალათბურთი

საკავშირო პირველობა

»დინამო« (თბილისი)—სკიფი (კიევი)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

3 . საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00921